
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში 2010 წლის

3 ნოემბერს გამართული საჯარო დისკუსია
თემაზე:

„ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი
საქართველოში“

ძირითადი მომხსენებლები:

გიგლა გულაშვილი – ექსპერტი,
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაცია

ოთარ კახიძე – იუსტიციის სამინისტროს
ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი

კახა წიქარიშვილი – სასამართლო
ადმინისტრირების და მენეჯმენტის
რეფორმის პროექტის ხელმძღვანელის
მოადგილე, DPK Consulting. ავტორი
წიგნისა: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო
(დასავლური სისტემების მიმოხილვა)“

ვახტანგ ხმალაძე – ექსპერტი,
საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის
წევრი

გიორგი შავლიაშვილი – საქართველოს
უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

მოდერატორი: მინდია უგრეხელიძე

მინდია უგრეხელიძე – მოგესალმებით ყველას. ის სისტემა, რომელიც თანამედროვეობას შეესაბამება, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და ვინ იცის, კიდევ რამდენი დრო დაგვჭირდება. ამიტომ თქვენი აზრი, მონაწილეობა, შეკითხვის თუ კამათის სახით, ამ თემებზე მსჯელობისას ძალიან მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური ცვლილებები უკვე მიღებულია, კონსტიტუციური პროცესი საქართველოში არათუ არ დამთავრებულა, შეიძლება ითქვას, რომ ახლა იწყება. ის გაგრძელდება მანამ, სანამ არ ჩავთვლით, რომ მიუუახლოვდით მაინც სრულყოფილებას, თუმცა სრულყოფილი ქვეყანაზე არაფერი არ არის. განსაკუთრებით ვაფასებ ახალგაზრდა ქართველ იურისტთა მონაწილეობას ამ პროცესში. დიდ მადლობას მოვახსენებ ჩვენს უცხოელ კოლეგებსაც.

საკითხი, რომელზეც დღეს ვისაუბრებთ, ბევრნაირად შეიძლება იყოს წარმოჩენილი. ეს არის გაგრძელება ჩვენი შეხვედრებისა საქართველოს კონსტიტუციაზე. იმიტომ რომ, მოგეხსენებათ, სასამართლო სისტემა ნაწილია კონსტიტუციის, და ამავე დროს იმ ახალი კანონმდებლობის, რომელიც ამასწინათ შევიდა ძალაში.

მსოფლიოში სამი ძირითადი სამართლებრივი სისტემა არსებობს. ერთ-ერთი მათგანი მხოლოდ პროფესიონალ მოსამართლეებს იყენებს. ამისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი საერთაშორისო სასამართლოები იქნება. მეორე სისტემაა ის, რომელიც იყენებს შეფენების ინსტიტუტს და ის ძირითადად გერმანიაში გვხვდება. ეს სისტემა გულისხმობს დამხმარე მოსამართლეებს. ნაფიცი მსაჯულები მათგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი არაპროფესიონალი მოსამართლეები არიან და არ სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რითიც სარგებლობენ პროფესიონალი მოსამართლეები. ისევე როგორც, პროფესიონალი მოსამართლე არ სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რითიც სარგებლობს არაპროფესიონალი მსაჯული. შეიძლება ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოადგენს ორ სასამართლოს ერთ სახურავს ქვეშ. ერთია ფაქტების სასამართლო, მეორეა ნორმების შემფარდებელი სასამართლო. ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ ფაქტებზე მსჯელობენ, მოსამართლე წარმართავს სასამართლო პროცესს და ნორმებს შეუფარდებს.

რაც შეეხება სახალხო მსაჯულების ინსტიტუტს, იგივე შეფენების ინსტიტუტს, იქ, მართალია, არაპროფესიონალები არიან, მაგრამ ისინი სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რითიც სარგებლობენ პროფესიონალი მოსამართლეები. ისინი ერთნაირად პასუხისმგებელნი არიან და ერთნაირად მონაწილეობენ როგორც ფაქტების დადგენაში, ისე ნორმების შეფარდებაში.

რა გზა უნდა აირჩიოს საქართველომ, რომ ხელი შეუწყოს ჯანსაღი, ეფექტიანი, სწრაფი და მოქნილი, სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებას. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მომხრეც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგე – კიდევ უფრო მეტი. ისიც საინტერესოა, რა ხდება მსოფლიოში, ნაფიც მსაჯულთა რაოდენობის გაზრდის თუ პირიქით, შემცირების ტენდენციაა. ახლა უკვე მომხსენებლებს მოვუსმინოთ, პირველს, ბატონ გიგლა აგულაშვილს გადავცემ სიტყვას.

გიგლა აგულაშვილი – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მინდა შევაფასო როგორც წინგადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის გზაზე და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ერთია კანონშემოქმედებითი პროცესი და კანონის გამოყენების პროცესი. ვნახოთ, პრაქტიკა რას გვაჩვენებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მსგავსი ტენდენციები შეუქცევადია და იმედი მაქვს, ეს პროცესი პრაქტიკაზეც აისახება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით მინდა მოვიხმო ჯეფრი აბრამსონის, ცნობილი სამართლის პროფესორის სიტყვები: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიის როგორც საუკეთესო, ასევე ყველაზე უარესი მონაპოვარია.“ ანუ, ამ ინსტიტუტს აქვს უდიდესი შესაძლებლობები, მაგრამ აქვს საფრთხეებიც. როგორ იქნება რეალიზებული ეს შესაძლებლობები და საფრთხეები, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, ვინ და როგორ ახორციელებს ამ პროცესს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რამდენიმე წელიწადია, პროკურორები, მოსამართლეები, ადვოკატები სერიოზულ სწავლებას გადიან იმისათვის, რომ მსგავს პროცესზე გამოსასვლელად უნარ-ჩვევები შეიძინონ. მაგრამ ერთია ტრენინგები და მეორეა კონკრეტული საქმეები და კონკრეტული ადამიანის ბედი. ცოტა მაშფოთებს ეს საკითხი, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგეების მიერ არგუმენტად მოყვანილი იქნება ის, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, რომ ეს ძვირი პროცესია, რომ ნაფიცი მსაჯულები ვერ ერკვევიან მტკიცებულებებში, სხვადასხვა თანამედროვე ექსპერტიზების არსში და შესაძლოა, შეცდომა დაუშვან და ა.შ. თითოეულ ამ არგუმენტს აქვს პასუხი. თუ ბრალდების და დაცვის მხარე მეცნიერული ენით დაგუწყვებთ ლაპარაკს ნაფიც მსაჯულებს, ისინი ბუნებრივია, ვერაფერს ვერ გაიგებენ. მაგრამ ნორმალური კომუნიკაციის დამყარების შემთხვევაში მათთვის ყველაფერი გასაგები იქნება.

ლონდონის ცენტრალურ სასამართლოში და პროკურატურაში ყოფნისას ვნახე, რომ არსებობს სპეციალური ორგანო, რომელიც იურისტების მიერ შეკრებილ მტკიცებულებებს „თარგმნის“ ადამიანურ ენაზე და ამ სახით აწვდიან ნაფიც მსაჯულებს. ვნახე რა შედეგი მიიღწევა ამით და როგორი იოლად გასაგები შეიძლება იყოს თუნდაც რთული ექსპერტიზები და საქმეები.

ნაფიც მსაჯულებს „თავისუფლების გუშაგებს“ უწოდებენ. ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გააკონტროლონ ხელისუფლება და უარი თქვან უსამართლო კანონის აღსრულებაზე. გაგახსენებთ კვაკერების საქმეს, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა თქვეს, რომ უარს აცხადებენ უსარგებლო კანონის გამოყენებაზე. მაგრამ საქართველოს სინამდვილეში მინდა მოვიყვანო ერთი მუხლი, სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე პრიმა მუხლი, რომელიც გულისხმობს მოწმისა და დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემას. როდესაც ეს მუხლი შემოდიოდა, ინიციატორთა არგუმენტებით, ის გამოყენებული იქნებოდა მოძალადე პოლიციელების წინააღმდეგ. ანუ, თუ პოლიციელი ცემდა დაზარალებულს ან ბრალდებულს, და იგი ამის შესახებ მისცემდა ჩვენებას, შემდეგ ხშირად გადათქვამდა მას. ამ მუხლის მიხედვით მას გადათქმის უფლება ერთმეოდა. ამ მუხლის თვალსაზრისით, ჩემი აზრით, კატასტროფული მდგომარეობაა. მართალია, ჩემი პროფესიის გამო ვერ ვიქნები ნაფიცი მსაჯული, მაგრამ რომ ვყოფილიყავ, ალბათ ვაიძულებდი პარლამენტს ამ მუხლის გაუქმებას. პროფესიონალი მოსამართლეები

იმ მოტივაციით, რომ მათი მოქმედება კანონიერია, მიიღებენ იმ ტიპის გადაწყვეტილებებს, როგორც არის, ვთქვათ, არ ვისუნთქოთ რამდენიმე საათის განმავლობაში, თუკი ასეთი კანონი იარსებებს. მაგრამ ნაფიცო მსაჯულები ასეთ შემთხვევაში არ დაგვსჯიან. ყოველ შემთხვევაში, ამის შესაძლებლობა ნაფიც მსაჯულებთან უფრო მეტია, ვიდრე პროფესიონალ მოსამართლეებთან.

თან მაქვს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე. აქ არის 2008 და 2009 წლის მონაცემები. 2009 წელს განხილულ იქნა 15911 სისხლის სამართლის საქმე 18778 პირის მიმართ, 2008 წელს – 17978 საქმე 21287 პირის მიმართ. 2009 წელს მსჯავრდებულია 99,6%, 2008 წელს – 98,5%. გამართლებულია 0,1%.

მაქვს მასალები, რომლებიც ასახავს შუა აზიაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საქმიანობას. ისევე როგორც რუსეთში, ყაზახური მოდელი კრიტიკას ვერ უძლებს თუნდაც იმ ნაწილში, რომ უზენაეს სასამართლოს შეუძლია ვერდიქტის გაუქმება. მიუხედავად ამისა, ყაზახეთში განაჩენების 8%-ზე მეტი არის გამამართლებელი, რუსეთში ეს პროცენტი კიდევ უფრო მეტია. დღევანდელ რუსეთში გამამართლებელი ვერდიქტები 15%-ს აღწევს.

მინდია უგრეხელიძე – გამაღობთ. სტრასბურგის სასამართლომ ამასწინათ განიხილა „ტასკეს საქმე ბელგიის წინააღმდეგ“ და ბრძანა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ნამდვილ სასამართლოდ, იმიტომ რომ იქ არაფერი დასაბუთებული არ არის.

მოდით, შევეცადოთ პასუხი გავცეთ ასეთ სერიოზულ შეკითხვებს.

ოთარ კახიძე – მოხარული ვარ, რომ ასეთ საინტერესო დისკუსიაში მონაწილეობის საშუალება მეძლევა. უინსტონ ჩერჩილმა აღნიშნა, რომ „საუკეთესო არგუმენტი დემოკრატიის წინააღმდეგ არის ხუთწუთიანი საუბარი საშუალო სტატისტიკურ ამომრჩეველთან“, რაც ბუნებრივია, როგორც არგუმენტი დემოკრატიის წინააღმდეგ ვერ გამოდგება, რადგან იმას, თუ რა არის სამართლიანი ან უსამართლო, განსაზღვრავს თავად საზოგადოება. საზოგადოება აფასებს, რამდენად სამართლიანია კანონი, რამდენად სამართლიანი იყო სასამართლო ამ კანონის შეფარდებისას ან გამოყენებისას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

მთავარი გამოწვევები ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ: გამოწვევები, რომლებიც უკვე დადგა სხვადასხვა ქვეყნების წინაშე, და ახალი გამოწვევები, რომლებიც დროთა განმავლობაში წარმოიშვა. ჯერ ახალ გამოწვევებზე ვისაუბრებ. ბატონ მინდიას დავეთანხმები, ევროსასამართლოში გადაცემულია საქმე, რომელიც ეხება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთებულობას. მხედველობაში მაქვს გამამტყუნებელი ვერდიქტი, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, გამამართლებელი ვერდიქტი გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება მხოლოდ კანონის ერთი ან ორი მუხლის ჩაწერით არ შემოიფარგლება. ამ ყველაფრის უკან არის სერიოზული სამუშაოები,

რომლებიც ერთი მხრივ დაკავშირებულია სასამართლოს მენეჯმენტთან და ამ ინსტიტუტის გამართულად ფუნქციონირებასთან. მეორე მხრივ, საჭიროა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა კითხვარი, რომელიც დაკავშირებულია ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომასთან. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ასევე მნიშვნელოვანია ინსტრუქციები და ვერდიქტის ფორმები, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს გადაეცემათ. ინსტრუქციები არის დოკუმენტი, რომელიც მხარეთა მონაწილეობით დგება მოსამართლის მიერ. ის შეიცავს ზოგად ნაწილს და შეიძლება საერთო იყოს ყველა საქმისთვის. ასევე შეიცავს კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ დანაშაულთან, რომელსაც განიხილავს სასამართლო. ამ ინსტრუქციებითა და ვერდიქტის ფორმებით უნდა ავიცილოთ თავიდან ის მომენტი, რომელმაც თავი იჩინა „ტასკეს საქმეში“. კერძოდ, მსაჯულებმა მშრალად არ უნდა თქვან, რომ მათ სჯერათ, რომ ამ ადამიანმა ეს ჩაიდინა. დამნაშავეობის მომენტი უნდა გაიშალოს ვერდიქტის ფორმაში და ინსტრუქციებით ნათლად უნდა იყოს განმარტებული იმისათვის, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა ამ კითხვებზე პასუხის გაცემით ფაქტობრივად დაასაბუთონ ვერდიქტი. ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენთვის და ჩვენ შევიძულებით ინსტრუქციები, სამოძღვლო ვარიანტი და ვერდიქტის ფორმები კონკრეტული დანაშაულების მიხედვით დაცვის მხარის უშუალო ჩართულობითა და მონაწილეობით.

რაც შეეხება რთულ საქმეებს, ვგულისხმობ საბანკო თაღლითობებს, კიბერდანაშაულებს, სპეციფიურ საბუღალტრო-საფინანსო დანაშაულებს, პილოტურ რეჟიმში ასეთი ტიპის საქმეებს ნაფიცი მსაჯულები არ განიხილავენ, მაგრამ მაინც გასათვალისწინებელია. ამ შემთხვევაში ალბათ ექსპერტებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. რაც მთავარია, მსაჯულებს გასაგებ ენაზე უნდა განემარტოთ, რაში ვდებთ ბრალს მოქალაქეს, რომელიც ზის ბრალდებულის სკამზე. ნაფიცი მსაჯულები ამ მოქალაქის ადგილზე წარმოიდგენენ თავს, ბრალდებულსაც აქვს იმედი თავისნაირების. იგი ელის მისი საქციელის გაგებას.

ამ ახალი გამოწვევების გარდა არსებობს ტრადიციული პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე შესაძლო ზეწოლასთან, ნაფიცი მსაჯულების მიმართ მუქარაზე, მედიის შესაძლო გავლენაზე მათზე, მაგრამ ამ ყველაფერს აქვს თავისი შესაბამისი დაზღვევის მექანიზმები, რომლებიც ასახულია საპროცესო კოდექსში. ამ პრობლემებს ყველა ერთად უნდა გავუმკლავდეთ, მთელი საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, სახელისუფლებო წრეები.

მინდია უგრეხელიძე – დიდი მადლობა, მაგრამ რაც ჩვენ გვინტერესებს, იმაზე ჯერ ვერ მივალწიეთ პასუხს. ამიტომ გთხოვთ, კონკრეტულ კითხვას გუპასუხოთ: რატომ გახდა საქართველოში საჭირო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება. საქართველოში არსებობდა რაღაც სისტემა. მაგალითა საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა ასესორატის, სახალხო მსაჯულების ინსტიტუტი. ეს სისტემა შემდეგ შეიცვალა პროფესიონალ იურისტთა სასამართლოთი. ახლა ისევ იცვლება სისტემა. მაინტერესებს თქვენი ხედვა, რატომ გახდა აუცილებელი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება.

ოთარ კახიძე – შევეცდები ვუპასუხო ამ კითხვას. ზუსტად და კომპეტენტურად ვერ გამოვხატავ საკანონმდებლო ორგანოს პოზიციას. ეს არგუმენტაცია განმარტებით ბარათში წარმოდგენილი გახლავთ და მოიცავს შემდეგ მომენტებს: საერთო სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი შეჯიბრებითი პროცესის ნაწილი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როდესაც გვყავს მოსამართლე, რომელიც არის მიუკერძოებელი არბიტრი და არ მონაწილეობს მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში.

მინდია უგრეხელიძე – მაგრამ იქ, სადაც არ არის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, არ არის შეჯიბრებითი პროცესი?

ოთარ კახიძე – ახალი საპროცესო კოდექსის მიღებამდე ჩვენთან არ ყოფილა შეჯიბრებითი პროცესი. ვინაიდან, ჩემი აზრით, შეჯიბრებითი პროცესი არ გვაქვს, როდესაც ადვოკატი მიმართავს პროკურორს და გამოძიებელს შუამდგომლობით საგამოძიებო პროცესის ჩატარებაზე. შეჯიბრებითი პროცესი არც მაშინ გვაქვს, როდესაც მოსამართლე კითხავს მოწმეს და მოწმის პასუხი აუცილებლად აძლევს რომელიმე მხარეს ხელს, და მოსამართლე უნებურად იხრება რომელიმე მხარისკენ. შეჯიბრებითობა არ გვაქვს, როდესაც დაზარალებულია მხარე და დაცვას უწევს ორ ბრალმდებელთან გამკლავება და არც მაშინ არის შეჯიბრებითობა, როდესაც მოსამართლე რაღაც მტკიცებულებებს გამოთქვამს.

მეორე საკითხი, რის გამოც მნიშვნელოვანია ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება, არის საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

შემდეგი საკითხია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოების მხრიდან პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე. საზოგადოების ჩართულობა არის საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილება, მეორეა, როდესაც საზოგადოებამ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს.

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია მართლმსაჯულების სისტემის მიმართ და კანონის უზენაესობის მიმართ რწმენის ამაღლება საზოგადოებაში.

გიგლა აგულაშვილი – ჩამოთვლილ არგუმენტებს ვეთანხმები. ბოლო წლების სოციოლოგიური კვლევები აჩვენებდა, რომ სასამართლოებისადმი, პროფესიონალი მოსამართლეების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულებისადმი ნდობის რეიტინგი 4%-ის ფარგლებში იყო. ახლა ვითარება შედარებით უკეთესია. ერთხელ ერთ-ერთ კვლევაში პარადოქსული სიტუაცია იყო – კანონიერ ქურდებს და სასამართლოებს თანაბარი ნდობის რეიტინგი ჰქონდათ.

კახა წიქარიშვილი – მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილება ჯერ კიდევ 2004 წელს შევიდა, კითხვა, გვჭირდება თუ არა ეს ინსტიტუტი, და რატომ შემოგვაქვს იგი, მაინც აქტუალურია. რამდენიმე საკითხი მინდა გამოვყო.

როდესაც თვალს გადავავლებთ საერთაშორისო ლიტერატურას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ, განსაკუთრებით, როდესაც შევხვდებით ამერიკულ გამოცდილებას, ვნახავთ შემდეგს. არის ასეთი ავტორი, საერთაშორისო ექსპერტი ნაფიც მსაჯულთა სფეროში, განსაკუთრებით შედარებითი მიმოხილვის კუთხით, ნიელ ბიგმარი, რომელიც ამბობს, რომ მსოფლიოში არის ნაფიც მსაჯულთა სისტემის გაუქმების ან შემცირების ტენდენცია.

მინდია უგრეხელიძე – ეს ტენდენცია ყველასთვის ცნობილია, სხვა უფრო მნიშვნელოვანი ექსპერტი არავინ გახსენდებათ?

კახა წიქარიშვილი – ამავე ავტორის თქმით, ამერიკაში ეს ინსტიტუტი იმიტომ არის ღრმად ფეხმოკიდებული, რომ ამას ამყარებს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, რომელიც მოგეხსენებათ, ძალიან სტაბილურია, ასევე ამერიკელი ხალხის უნდობლობა სახელმწიფოს მიმართ. ანუ, ამერიკელი ხალხი იმდენად ვერ ეგუება სახელმწიფოს დომინირებას მართლმსაჯულებაზე, რომ მას ბოჭავს ნაფიც მსაჯულთა მეშვეობით.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებით ჩვენც ვაღიარეთ, რომ არ ვენდობით სახელმწიფოს და გვინდა ჩვენსა და სახელმწიფოს შორის იყოს მოქალაქე, ანუ მსაჯული.

რა ტენდენციებთან მოდის შეუსაბამობაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – მართლმსაჯულების ეფექტურობის და ეკონომიკურობის პრინციპთან, რისკენაც მიდის თანამედროვე მსოფლიო. ეკონომიკურობის პრინციპი ძალიან მნიშვნელოვანია და გულისხმობს მენეჯმენტზე ორიენტირებულ მიდგომას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაც შეიძლება ნაკლები რესურსით მეტი საქმე გაგაკეთოთ. მართლმსაჯულებაში ხდება ეკონომიკურობის პრინციპის წინ წამოწევა. მაგალითად, არის რამდენიმე რეკომენდაცია ევროსაბჭოს ფარგლებში, რომელის მიხედვითაც, საქმე სასურველია განიხილოს არა კოლეგიაში, არამედ ერთმა მოსამართლემ.

მეორე ტენდენცია მართლმსაჯულების კუთხით მთელ მსოფლიოში არის მართლმსაჯულების პროფესიონალიზაცია. ევროსაბჭოს აქვს რეკომენდაციები ამ კუთხით, რომ მოხდეს მოსამართლეთა სპეციალიზება ვიწრო პროფესიონალიზაციის მიხედვით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ორივე პრინციპს ეწინააღმდეგება, მაგრამ მთავარი არგუმენტი, რაც ამ ინსტიტუტს ამყარებს, როგორც ჩანს, არის უნდობლობა სახელმწიფოს მიმართ. მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი, არის საზოგადოების ჩართულობა. ვეთანხმები იმ აზრს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტში გამოკვეთილია.

რაც შეეხება თვითონ სისხლის სამართლის პროცესს, სახელმწიფომ ფაქტობრივად თქვა, რომ მას აღარ აქვს ჭეშმარიტების დადგენის ფუნქცია და ჭეშმარიტება ხალხმა უნდა დაადგინოს.

შეიძლება ბევრი არგუმენტი არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წინააღმდეგ, მაგრამ მე მაინც მხარს ვუჭერ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვას, იმიტომ რომ ჩვენთან მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერება უნდა

ამაღლდეს, და რადგან ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოვახერხეთ ისეთი სასამართლოს შექმნა, რომელსაც ხალხი ენდობოდა, მართლმსაჯულება თვითონ ხალხს უნდა გადაეცეთ და ამ გზით ავამაღლოთ ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ.

მინდია უგრეხელიძე – დიდი მადლობა. რადგან ავტორიტეტებზე ჩამოვარდა საუბარი, მეც დავასახელებ რამდენიმე მეცნიერს. არის ასეთი ფრანგი მეცნიერი ჟან პრაბელი, რომლის შედარებითი სამართალი საქვეყნოდ არის ცნობილი. თავის ცნობილ ნაშრომში „შედარებითი სისხლის სამართალი“ ჟან პრაბელი ამბობს: „დღეს ნაკლებად გამოიყენება არაპროფესიონალთა მონაწილეობა, მე-19 საუკუნიდან თმობს პოზიციებს“. მისივე თქმით, იგი „რეგრესსაც განიცდის“. სხვაგან წერს, რომ „ჟიურის შემოღება მარცხით დამთავრდა“. ეს ყველაფერი იმით არის საინტერესო, რომ ჩვენ უნდა დაველაპარაკოთ საკუთარ თავს და ვილაცის შეკვეთით არ უნდა ვიმოქმედოთ.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუკი შეძირების ტენდენცია მიდის, ჩვენ რატომ შემოგვაქვს ახლა ეს ინსტიტუტი. ვიდრე ამ კითხვაზე ნათელ, დამაჯერებელ პასუხს არ გავცემთ, მანამდე ნდობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

შემდეგი ავტორია იეშევი. ის გახლავთ ძალიან დიდი გერმანელი მეცნიერი და ისიც იგივეს ამბობს.

გიორგი შავლიაშვილი – აქ დასახელდა არგუმენტები, რომელთა გამოც სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი იქნა მიღებული. ამაზე მნიშვნელოვანი ძირითადი არგუმენტები ჩემი აზრით არ არსებობს. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო ძირითადი საკითხები: ის, რომ საზოგადოებას საქართველოში უჭირს სამოქალაქო პასუხისმგებლობის აღება. ადამიანი, როდესაც ხდება ნაფიცი მსაჯული, ვალდებულია აიღოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პირნათელი უნდა იყოს საკუთარი თავის, ღმერთის და ოჯახის წინაშე. ამასწინათ ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესი ნაფიცი მსაჯულების შერჩევის ეფექტურობის შესამოწმებლად. ჩემი აზრით, ეს პროცესი წარმატებული იყო. ნაფიცი მსაჯულები, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი იმიტირებული იყო, ძალიან გულისხმიერნი იყვნენ.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე სამართლებრივი აზროვნების განვითარება, რაც დროული და საჭიროა საქართველოში. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება სამართლებრივი აზროვნების ამაღლების დონის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდიც გახლავთ. ხშირად ამბობენ, რომ მოსამართლემ არ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, და მას ზემდგომ ინსტანციაში ასაჩივრებენ. როდესაც ადამიანები თავად მიიღებენ მონაწილეობას სასამართლო პროცესში, მიხვდებიან რატომ ხდება ასეთი გადაწყვეტილებების მიღება.

რაც შეეხება იმას, რამდენად გამართლებულია ამ ინსტიტუტის შემოღება, ან როგორია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი მიდგომა მსოფლიოში, გეთანხმებით, არიან ქვეყნები, სადაც აღარ აქვთ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. მაგრამ ამისი მიზეზი ძირითადად ის იყო, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში უსამართლო ან დაუსაბუთებელი იყო. ამაზე შეიძლება გამოითქვას სხვადასხვა მოსაზრებები. ვერ ვიტყვოდი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა

ინსტიტუტი ან არ ვერ მუშაობს. ამერიკელ ხალხს დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზისად მიაჩნია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობა. სწორედ ეს გამოცდილება გვაძლევს საფუძველს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა უნდა იმუშაოს საქართველოში და უნდა მივიღოთ ის დადებითი შედეგები, რაზეც არის ორიენტირებული მისი შემოღება.

მინდია უგრეხელიძე – დიდი მადლობა. პირადად მე მიჩნდება კითხვა, არაპროფესიონალმა მსაჯულმა პროფესიონალი მოსამართლის საქმიანობაზე მეტად როგორ უნდა აამაღლოს სამართლებრივი კულტურა.

კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს, ოღონდ დარბაზში შეკრებილი საზოგადოების მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოება თუკი რაიმეთი ამაყობს, ეს არის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ეს არის ჯეფერსონის მიერ დაწერილი არაჩვეულებრივი დოკუმენტი, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ამერიკის შეერთებული შტატების მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას. ეს დოკუმენტი არის იმის დასაბუთება, თუ რატომ გადაწყვიტა ცამეტმა კოლონიამ, რომ ინგლისის მმართველობისგან დაეღწია თავი. ამერიკელები იმით ამაყობენ, რომ მათ უბრალოდ კი არ განაცხადეს ამის შესახებ, არამედ დაასაბუთეს კიდევ თავიანთი გადაწყვეტილება. დასაბუთება არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი ნდობის ასამაღლებლად. ამიტომ გეკითხებით, როდის უფრო ამაღლება სასამართლო ვერდიქტისადმი და გადაწყვეტილებისადმი საზოგადოების ნდობა, როცა დასაბუთებულად იტყვიან ვინმეზე რომ დამნაშავეა ან არ არის დამნაშავე, თუ დაუსაბუთებლად?

ახლა ბატონ ვახტანგ ხმალაძეს მოვუსმინოთ.

ვახტანგ ხმალაძე – დიდი მადლობა. ის, რის თქმასაც ვაპირებ, არის იმ ცოდნის და დაფიქრების შედეგი, რაც ამ საკითხზე მიფიქრია. არ ვაპირებ ავტორიტეტების მოხმობას. სასამართლო სისტემის მიზანი სამართლიანობის მიღწევაა. ყველაფერი დანარჩენი არის ის საშუალებები, რომლებმაც უნდა მოგვცეს შესაძლებლობა, მივალწიოთ სიმართლის დადგენას. როგორი სისტემაც არ უნდა მოვიგონოთ, ყველას ექნება თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყოველი ახალი ინსტიტუტის შემოღებას მოაქვს რაღაცა დადებითი შედეგები და შესაძლოა, მან უარყოფითი რისკებიც გააჩინოს. ამიტომ, როდესაც რაიმეს შემოღებას ვაპირებთ, უნდა ავიღოთ სასწორი და ავწონდავწონოთ ეს ყველაფერი. შევხედოთ, რომელი გადაწონის და ის ავირჩიოთ.

საყოველთაოდ ცნობილია ის, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება აძვირებს სასამართლოს ხარჯებს, ზრდის სამართლიანობის მიღწევის ხარჯებს და უფრო ხანგრძლივს ხდის პროცესს. მაგრამ პირადად ჩემთვის ეს ყველაზე ნაკლებად უარყოფითი მხარეა. თუ მექნება დიდი ალბათობა იმისა, რომ ამ სისტემის შემოღება ხელს შეუწყობს სამართლიანობის მიღწევას, მზად ვარ, როგორც გადასახადების გადამხდელი, ეს ფული გადავიხადო.

როდესაც საუბარი იყო ამ სისტემის შემოღების აუცილებლობაზე, არგუმენტად იყო მოყვანილი შეჯიბრებითობის უზრუნველყოფა. მეც ვიზიარებ იმ აზრს, რომ ნაფიც

მსაჯულთა სასამართლოში შეჯიბრებითობის პროცენტი მაქსიმუმამდეა აყვანილი. თუმცა, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ტრადიციულ სასამართლოებშიც, პროცესი შესაძლოა იმგვარად იყოს ორგანიზებული, რომ შეჯიბრებითობის ხარისხი მაქსიმუმადე იყოს გაზრდილი. იმის თქმაც, რომ ამ შეჯიბრებითობის დროსაც შესაძლებელია მოსამართლემ გადახაროს ჯოხი რომელიმე მხარეს, ეს აქაც შესაძლებელია. ავიღოთ მაგალითად ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლე ამბობს, რომ მხარეების მიერ მოყვანილი ესა თუ ის მტკიცებულება არ უნდა მიიჩნიონ მტკიცებულებად და უნდა დაივიწყონ. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ნაფიცი მსაჯული ვარ და ეს უკვე მოვისმინე, როგორ ფიქრობთ, ჩემში არ დატოვებდა კვალს უკვე მოსმენილი? ის არ იმოქმედებს ჩემს საბოლოო გადაწყვეტილებაზე?

არაპროფესიონალიზმზე საუბრისას გავითვალისწინოთ, რომ ბევრი რამ შეფასებითია. კანონში წერია, რომ რაღაც არის დანაშაული, მაგრამ ჩემი ცნობიერებისთვის ის არ არის დანაშაული, ან ძალიან უმნიშვნელო დანაშაულია და ის სხვა მოქმედებით არის გამოწვეული. ასეთი ცნობიერება არ არის ჩვენში? და ის არ იმოქმედებს ვერდიქტზე ხელის მოწერის დროს? და ამით ხომ არ მივიღებთ ისეთ შედეგს, რომ დამნაშავე გამართლდეს და უდანაშაულო დაისაჯოს? იმიტომ რომ ეს პირიქითაც შეიძლება იყოს. რაღაც შეიძლება კანონით არ იყოს დანაშაული, მაგრამ ჩემი მსოფლმხედველობით დანაშაულად მიმაჩნდეს. ასე რომ თეორიულად სწორია, რომ ამ პროცესში საზოგადოების ჩართვით ის საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას, მაგრამ რიტორიკულ კითხვას დავსვამ: განა საზოგადოება არჩევნების სახით ჩართული არ არის სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების პროცესში და განა ამით საზოგადოების პასუხისმგებლობა გაზრდილია?

რაც შეეხება მართლმსაჯულებისადმი ნდობის ამაღლებას, ეს კოდექსი ჯერჯერობით ერთი მუხლის მიხედვით ამოქმედდება. ამ მუხლის მიხედვით ალბათ სტატისტიკურად შეგვიძლია ვთქვათ, რამდენია დანაშაულის რაოდენობა. წელიწადში დაახლოებით 25-30 თბილისში. ე.ი. გამოდის, რომ ნაფიცი მსაჯულები დაახლოებით 30 საქმეში ჩაერევიან, დანარჩენ 15 ათას საქმეში – ვერა. რამდენად შეუწყობს ეს ხელს ნდობის ამაღლებას. 90-იანი წლების ბოლოს, როცა სასამართლოს პირველი რეფორმა დაიწყო, მაშინდელ გამოკითხვებს თუ ნახავთ, დაახლოებით 2003-04 წლამდე ნდობის ხარისხი სასამართლოს მიმართ იზრდებოდა. მერე დაიწყო კლება. ვნახოთ, რამდენი იყო გამამართლებელი გადაწყვეტილება პროცენტულად. როგორი იყო იმ პერიოდში და იმის მერე. ანუ, მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ.

ერთ არგუმენტზე არ ყოფილა საუბარი, მაგრამ ბევრჯერ მომისმენია მის შესახებ. ის, რომ განსასჯელსა და ხელისუფლებას შორის დგას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არის გარკვეული გარანტია იმისა, რომ ხელისუფლების ზემოქმედება სამართლის აღსრულებაზე შემცირებული იქნება. მაგრამ რამდენად ვართ გარანტირებულნი იმისაგან, რომ თუ ხელისუფლება თავს უფლებას აძლევს ზემოქმედება მოახდინოს მოსამართლეზე, რომელსაც აქვს დაცვის კანონისმიერი ბევრი გარანტია, ამისგან თავის დაცვა ნაფიცი მსაჯულებით გვინდა, რომლებზე ზემოქმედების გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს ხელისუფლებას?

და ბოლოს, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ჩვენში არსებული ცნობიერების, მენტალობის გათვალისწინებით, რამდენად იქნება ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებები ობიექტური.

მინდია უგრეხელიძე – დიდი მადლობა. ახლა უკვე შეგიძლიათ შეკითხვების დასმა. კანონი უკვე მიღებულია, ახლა კარგი იქნება ისეთ თემებზე საუბარი, რომელიც ჩვენს საზოგადოებას დაეხმარება ამ პროცესში ჩართვაში.

თაკო ფარადაშვილი, ჟურნალი „ლიბერალი“ – როგორც ცნობილია, საზოგადოებაში არსებობს გარკვეული თემების მიმართ წინასწარგანწყობები. მაგალითად ჰომოსექსუალების, იელოველების მიმართ. რამდენად იქნება განსასჯელი დაცული იმისგან, რომ ნაფიც მსაჯულთაგან ვინმემ გადაწყვეტილების მიღებისას არ იხელმძღვანელოს ასეთი წინასწარგანწყობებით.

მეორე შეკითხვა ეხება განათლების დონეს. როგორ უნდა განსაჯონ ნაფიცმა მსაჯულებმა ასეთი რთული საკითხები.

ასევე მაინტერესებს, ქვეყნებში, სადაც ამცირებენ ნაფიც მსაჯულთა რიცხვს, რა განხდა ამის მიზეზი?

გიორგი შავლიაშვილი – ასეთი საკითხები უნდა გამოიკვეთოს ნაფიც მსაჯულთა შესარჩევ სხდომაზე. ამ სხდომაზე პასუხის გაცემის დროს ადამიანები ვალდებული არიან იყვნენ გულწრფელები და ობიექტურები. შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეულ ადამიანებს ეგზავნებათ კითხვარი, რომელსაც პასუხი უნდა გასცენ. მათი პასუხების გაცნობის შემდეგ ორივე მხარეს აქვს უფლება ამ ადამიანის მიდრეკილებების გამო მისი აცილება მოითხოვოს. ეს აცილება შეიძლება იყოს დაუსაბუთებელი.

ოთარ კახიძე – თუ ბრალდებულს არ უნდა ნაფიცი მსაჯულები, ვერავინ დააძალებს, რომ მისი საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ. გარდა ამისა, ნაფიცი მსაჯულების კორპუსი პირდაპირ სახლიდან არ მოდის სასამართლოზე. ისინი ჯერ ესწრებიან შესარჩევ სხდომას, სადაც მხარეები სრული შეჯიბრებითობის პირობებში უტარებენ მათ გამოკითხვას.

გიორგი ჩხეიძე – ჩემი შეკითხვა ეხება მოსამართლეს. ძალიან ბევრს საუბრობენ ნაფიცი მსაჯულების როლზე და ძალიან მცირეს მოსამართლის როლზე ამ პროცესში. ამ თემაზე არ მსჯელობენ. მე თუ მკითხავთ, მოსამართლის როლი იზრდება. თუმცა საქართველოში დღეს იურისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოსამართლის როლი მცირდება.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მოსაზრება ამ საკითხზე.

გიორგი შავლიაშვილი – გეთანხმებით, ხშირად გაიგონებთ იმის შესახებ, რომ ახალი საპროცესო კოდექსით მოსამართლის როლი დაკნინებულია. მაგრამ თუ ამ საკითხებს ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ იზრდება მოსამართლის პასუხისმგებლობა და

შესაბამისად, როლიც. მისი პასუხისმგებლობა პირველ რიგში იმით იზრდება, რომ მან უნდა უზრუნველყოს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მას ძალიან მცირე დრო აქვს იმისთვის, რომ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებს და შემდგომში უკვე ნაფიც მსაჯულებს მისცეს სამართლებრივი საკითხების შესახებ აუცილებელი განმარტებები.

გიგა ჭკალუა, სტუდენტი – მაინტერესებს, რამდენად არის დაცული ნაფიცი მსაჯული ზეწოლისგან და მეორე, თუ არის ცნობილი იმის შესახებ, რომ ნაფიც მსაჯულს ანგარების მიზნით გამოეყენებინოს ესა თუ ის ვერდიქტი.

ოთარ კახიძე – ნაფიცი მსაჯულის მიმართ განხორციელებული მუქარა ან მისი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება უმკაცრესად იქნება დასჯილი. ამ მიმართულებით სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში, რომლებიც დაამტკიცა იუსტიციის მინისტრმა, ხაზგასმულია, რომ ნაფიცი მსაჯულის ან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება უმკაცრესად იქნება დასჯილი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ განხორციელებს ამ ქმედებას, ხელისუფლების წარმომადგენელი თუ სხვა დაინტერესებული პირი. ამავე დროს ისევე როგორც მოსამართლესთან, ნაფიც მსაჯულთანაც კომუნიკაცია საქმესთან დაკავშირებით აკრძალულია.

ვახტანგ ხმალაძე – მე განსხვავებული მოსაზრება მაქვს. ჩემი აზრით, იმ გარემოში, რომელშიც ვცხოვრობთ, ნაფიცი მსაჯულის დაცვის ხარისხი ძალიან დაბალია. არ გვულისხმობ მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან ზემოქმედებას. ეს შეიძლება იყოს მეზობელი, ნათესავი, ახლობელი. დამეთანხმებით, რაც უნდა მაღალი იყოს სანქცია ნებისმიერ დანაშაულზე, არ გვიცავს იმისაგან, რომ ეს დანაშაული მაინც მოხდეს. ასევე, ისიც, რომ ნაფიც მსაჯულზე ზემოქმედება დასჯადია, არ გვიცავს იმისგან, რომ ასეთ ზემოქმედებას არ ჰქონდეს ადგილი.

კაკასიის მედია სკოლის სტუდენტი – ყოფილ პატიმარს თუ აქვს უფლება გახდეს ნაფიცი მსაჯული?

მინდია უგრეხელიძე – ამაზე პასუხი ცხადია. ის, რომ ოდესღაც პატიმარი იყავი, არაფერს ნიშნავს, სასჯელის მოხდის შემდეგ ასეთი ადამიანი უთანაბრდება სხვა მოქალაქეებს, ხდება მისი რესოციალიზაცია და მოსამართლეს შეგიძლია გახდე, არათუ ნაფიცი მსაჯული.

კაკასიის მედია სკოლის სტუდენტი – თუკი სასამართლო განიხილავს იმავე ტიპის საქმეს, რის გამოც აქვს სასჯელი მოხდილი ამ ადამიანს, მაშინ როგორ იქცევია?

მინდია უგრეხელიძე – რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში არ არის სასურველი ამ ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა პროცესში.

ოთარ კახიძე – ეს არის ერთ-ერთი პირდაპირი საფუძველი ამ პირის აცილებისთვის.

მაია ხუციშვილი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისთვის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ დარიგებულ ბუკლეტებში ძალიან კარგად არის განმარტებული ეს პროცესი, მოქალაქეები მაინც ხშირად გვეკითხებიან, გავრცელდება თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მათ მიმართ დამდგარ განაჩენზე.

ბატონმა ოთარმა თქვა, რომ მოსამართლის მხრიდან ნათლად უნდა იყოს ახსნილი ინტრუქციები. მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ ნაფიცი მსაჯულები სწორედ ისე გაიგებენ თქვენს ნათქვამს, როგორც ეტყვით?

ოთარ კახიძე – გარანტიები, რა თქმა უნდა, არ გვაქვს. თუმცა ინტრუქციები მუშავდება მხარეთა მონაწილეობით, ჩართულობით.

გიორგი ჩიფჩიური, „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“ – ჩემი აზრით, ყველაზე სერიოზული რისკი იმაში მდგომარეობს, რომ იურისტებს უფრო მეტად მოვუწოდებთ გახდნენ კარგი ორატორები და არა პროფესიონალები. ვინც კარგი ორატორი იქნება, ის მოიგებს თორმეტი ნაფიცი მსაჯულის გულს.

მინდია უგრეხელიძე – ეს აბსოლუტურად გასაგები და რეალიზებული საფრთხეა და არაერთი მაგალითის მოყვანაც შეიძლება. მჭევრმეტყველების განვითარებამ ჭეშმარიტების დადგენას შეიძლება შეუშალოს კიდევ ხელი.

მაია ხუციშვილი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – შეკითხვა მაქვს ნაფიც მსაჯულთა სოციალურ გარანტიებთან დაკავშირებით. კანონში ჩადებულია, რომ საჯარო სამსახურის წარმომადგენლებს უნარჩუნდებათ სამსახურიც და ანაზღაურებაც. მაგრამ ეს არ არის გათვალისწინებული კერძო სექტორის შემთხვევაში. ხომ არ ირღვევა ამით ადამიანის უფლებები?

მინდია უგრეხელიძე – ამ საკითხზე იყო განმარტებები. რა თქმა უნდა, სირთულეები იქნება, განსაკუთრებით როცა საქმე კერძო სექტორს ეხება. რასაკვირველია, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ასეთი საკითხები კერძო სექტორთან მიმართებაშიც.

ოთარ კახიძე – შესაძლოა მომზადდეს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, ისევე როგორც რეზერვისტს უნარჩუნდება სამსახური, შეუნარჩუნდეს იგი ნაფიც მსაჯულსაც.

მინდა იმ დაზღვევის მექანიზმებზე ვისაუბრო, რომლებიც კოდექსში დევს. ბატონმა ვახტანგმა აღნიშნა, რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ნაფიცი მსაჯული შეიტყობს მტკიცებულების არსებობის შესახებ, მაგრამ ეს დაუშვებელი მტკიცებულებაა. კოდექსში დევს ნორმა, რომელიც აძლევს მოსამართლეს საშუალებას გააუქმოს გამამტყუნებელი ვერდიქტი, თუ იგი მტკიცებულებათა ერთობლიობას ეწინააღმდეგება. ანუ, ბრალდებულის ინტერესები აქაც დაცულია.

ვახტანგ ზმალაძე – მე ვგულისხმობდი მტკიცებულებას, რომელიც ბრალდებულის გამართლებისთვის არის წარდგენილი და მოსამართლემ იგი დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო.

ოთარ კახიძე – თუ კანონის დარღვევით არის მოპოვებული გამამართლებელი მტკიცებულება, ის მაინც დასაშვებად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში ბრალდებულის კანონიერი ინტერესებია ამოსავალი წერტილი. როდესაც ბრალდებული ისეთი ავტორიტეტია, შეუძლებელია მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, შესაძლებელია, ასეთ საქმეზე საერთოდ არ ჩატარდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და საქმე მოსამართლემ განიხილოს.

ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტიკა დღეს ბატონი ვახტანგისგან მოვისმინე, როდესაც მან დასვა კითხვა, რატომ უნდა ეხებოდეთ ნაფიც მსაჯულებს მხოლოდ 109-ე მუხლი. იმიტომ რომ ლოგიკურად საზოგადოებისგან უნდა მოდიოდეს ინიციატივა, რომ ყველა მუხლზე ვრცელდებოდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ხელისუფლებას აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება, რომ მართლმსაჯულების დასრულებაში ჩართოს საზოგადოება და საზოგადოებამ ეს აუცილებლად უნდა გამოიყენოს, უნდა მოითხოვოს მისი გავრცელება სხვა მუხლებზეც, სხვა რაიონებზეც. ჩვენ ვაწარმოებთ ცნობიერების ამაღლების კამპანიას და ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 86% დადებითად არის განწყობილი ამ ინსტიტუტის მიმართ, 40%-მდე მოსახლეობის თავად არის მზად, რომ იყოს ნაფიცი მსაჯული. ეს არის დამოუკიდებელი სოციოლოგიური კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და ადასტურებს ამ კამპანიის ეფექტურობას. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს ინსტიტუტი წარმატებით იმუშავებს თქვენი მონაწილეობით და დახმარებით.

მინდია უგრეხელიძე – დიდი მადლობა ჩვენს მომხსენებლებს. დისკუსია დასრულებულია.